საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, ბოგდან ხმელინსკის №8 მიმდებარედ,
ს.კ 01.17.11.026.112 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის
პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის
დადგენილების №41-ისმიხედვით "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების
წესებთან" შესაბამისობის საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი----------შპს "დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"

ექსპერტი ---------- ლევან ქეთელაური

გაითვალისწინეთ რომ:

. საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"–ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილობასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები, შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

. საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მშენებლობის დროს, ანდა ექსპლუატაციის მიღების შემდგომ რაიმე სახის ცვლილება, გამოიწვევს, საექპერტო დასკვნის ავტომატურ გაუქმებას.

. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე, და არა მის განხორციელებაზე, ანდა მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

. ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

. დამკვეთი ვალდებულია შენობა ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი, განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა რეკომენდაციების შესაბამისად.

. საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება რომელიც შეუსაბამობაში მოდის მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

. კონსტრუქციული სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო კომუნიკაციების პროექტი, უნდა დამუშავდეს "შენობა ნაგებობის წესები"-ს მოთხოვნათა დაცვით.

. უსაფრთხოების ნორმები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტს გადმოეცა, არქიტექტურული პროექტი შემდეგი შემადგენლობით:

. შენობის მოცულობითი ვიზუალიზაცია;

. პირობითი აღნიშვნები;

. შენობა-ნაგებობის გეგმარება;

. შენობა-ნაგებობის ფასადები;

. საპროექტო მიწის ნაკვეთის გენგეგმა;

. შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები;

. შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა;

. შენობა-ნაგებობობის ჭრილები;

. კიბის და პანდუსის დეტალური ნახაზები;

. ფასადის და სახურავის დეტალური ნახაზები;

- სარჩევი:

1 . დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

2 . კონსტრუქციის ტიპების შეფასება

3 . შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება

4 . ცეცხლისგან და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება

5 . ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება

6 . გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი საშუალების შეფასება

7 . შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომის შეფასება

8 . ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასება

9 . წყალსადენი სისტემების შეფასება

10 . შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება

11 . გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

12 . სახურავის ანაწყობების შეფასება

13 . ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობები

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ბოგდან ხმელინსკის №8, მიმდებარედ, ნაკვეთი 26/088 მესაკუთრე, შპს დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია, საჯკადასტრო კოდი 01.17.11.026.112 მშენებლობის სახეობად განისაზღვრა ახალი მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მოხდა საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა ყველა იმ დეტალში, რომლიც მოთხოვნილია, სახანძრო უსაფრთხოების ნორმები №41 დადგენილებით.

საპროექტო ობიექტს საზოგადოებრივი სივრცე აკრავს დასავლეთის მხრიდან 17 მეტრი სიგანის ასფალტის გზა, სამხრეთით აღმოსავლეთით და ჩრდილოეით დარეგისტრირებული კერძო მიწის ნაკვეთები.

შენობა-ნაგებობის დაკავებულობა გადანაწილდა შემდეგნაირად:

. -6.30 ნიშნული ავტოსადგომები
. -3.15 მიშნული ავტოსადგომები, დამხმარე სათავსი.
. 0.00 ნიშნული სავაჭრო, დამხმარე სათავსი.
. +3.15 ნიშნული კომერციული
. +6.30 ნიშნულიდან-
. +31.5 ნიშნულამდე საცხოვრებელი

საპროექტო შენობა ადაფტირებულია შშმ პირთათვის და მითითებულია ყველგან სვლაგეზი, შენობაში გადაადგილება ხდება ლიფტით რომელიც აკმაყოფილებს ICCA117 -ის მოთხოვნებს.

ფასადი მოპირკეთებულია ნაწილობრივ კერამოგრანიტით და ქვიშაცემენტით, ღიობებზე გამოყენებულია ალუმინის ვიტრაჟები, მოაჯირებზე ორმაგი მინაპაკეტი.

1 . დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის კგუფი, შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

. მცირე საფრთხის შემცველი ჯგუფი (სწ-2) (ავტოსადგომები)
-6.30 და -3.15 ნიშნული განთავსებულია ავტოსადგომები, რომელიც შეესაბამება 311.3 პუნქტს, -3.15 ნიშნულზე სახანძრო ტუმბოს და ავზის ოთახი, 0.00 ნიშნულზე გენერატორის ოთახი. შეესაბამება 311.3 პუნქტს. რომლის თანახმადაც ამ ჯგუფს განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები, მშრალი ელექტროელემენტების, ელექტროძრავების და სხვათა შესანახად გათვალისწინებული სათავსები.

. სავაჭრო ჯგუფი (სვ) (მაღაზიები)
+0.00 ნიშნულზე განთავსებულია მაღაზიები რომელიც შეესაბამება 309.1 პუნქტს რომლის თანახმადაც ამ ჯგუფს განეკუთვნება საცალო დ ასაბითუმო მაღაზიები და უნივერმაღები.

. საქმიანი ჯგუფი (სქ) (საოფისე ფართები)
+3.15 ნიშნულზე განთავსებული საოფისე ფართები რომელიც აკმაყოფილებს 304.1 პუნქტს, რომლის თანახმადაც ამ ჯგუფს განეკუთვნება საოფისე, ან პროფესიული და სამომსახურეო საქმიანობა.

. საცხოვრებელი ჯგუფი (სც2) (საცხოვრებელი)
+6.3 --- +31.50 ნიშნულებზე განთავსებულია საცხოვრებელი ბინები და შეესაბამება 310.4 პუნქტს, რომ;ის თანახმადაც ამ ჯგუფს განეკუთვნება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

• რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს, პროექტის მიხედვით თითოეული სივრცისთვის მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს.

. მცირე საფრთხის შემცველი ჯგუფი (სწ-2)
აქედან:

. ავტოსადგომისთვის----------18.6 მთლიანი
სივრცის დანიშნულება ავტოსადგომი გარაჟი

. დამხმარე ტექნიკური ფართებისთვის (სახანძრო ტუმბო, წყლის ავზის, და გენერატორის ოთახებისთვის) .----------27.9 მთლიანი
სივრცის დანიშნულება-დამხმარე სათავსი მექანიკური მოწყობილობების ოთახი

. სავაჭრო ჯგუფი (სვ)
აქედან:

. მაღაზიებისთვის----------2.8 მთლიანი
სივრცის დანიშნულება სავაჭრო.

. საქმიანი ჯგუფი (სქ)

აქედან:

საოფისე ფართებისთვის----------9.3 მთლიანი

დანიშნულება- ოფისები

. საცხოვრებელი (სც-2)

აქედან:

საცხოვრებელი----------18.6 მთლიანი

სივრცის დანიშნულება-საცხოვრებელი.

. ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით დაანგარიშდა დაკავებულობის დატვირთვა, თითოეული სივრცისთვის (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე) და მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები:

. მცირე საფრთხის შემცველი ჯგუფი სწ-2 (ავტოსადგომები)

-6.30 ნიშნული ავტოსადგომები----------750,4 მ^2/18.6=41 დ.დ

-3.15 ნიშნული ავტოსადგომები----------664,6 მ^2/18.6=35 დ.დ

-3.15 ნიშნული სახანძრო ტუმბო და წყლის ავზი----------25.1 მ^2/27.9=1.0 დ.დ

+0.0 ნიშნული გენერატორისთვის.----------6.3მ^2/27.9=0.2 დ.დ

. სავაჭრო ჯგუფი სვ

0.00 ნიშნული მაღაზიებისთვის----------310.5 მ^2/2.8=111 დ.დ

. საქმიანი ჯგუფი სქ

+3.15 ნიშნული ოფისებისთვის----------354.4 მ მ^2/9.3=41 დ.დ

. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2

+6.3-ნიშნულიდან +28.35 ნიშნულამდე სახლისთვის---------- 387.2 მ^2/18.6=21 დ.დ

+31.5 ნიშნული სახლისთვის----------110.4 მ^2/18.6=6 დ.დ

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში, წარმოდგენილი დოკუმენტაცის მიხედვით მოცემული ანგარიში აკმაყოფილებს (ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო დამკავებელზე) სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება, და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფართობზე.

2. კონსტრუქციების ტიპების შეფასება:

. საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპი (I-B) შენობის სიმაღლის სართულიანობის და ფართობის გათვალისწინებით სწორად არის არჩეული.

. შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციისა და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი უნდა განისაზღვროს 601 ცხრილის თანახმად, შემდეგი სახით:

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო----------2სთ

გარე და შიგა მზიდი კედლები----------2სთ

იატაკის კონსტრუქცია და არაძირიტადი ნაწილები----------2სთ

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები----------1სთ

. რაც შეეხება გარე მზიდ კედლებს, პროექტში დაცულია ცეცხლმედეგობის ხარსხის მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება 602 ცხრილში მოთხოვნილს. შემდეგი სქემით

ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრი)	დაკავებულობის ყველა ჯგუფისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნა (საათებში)
1-6 ღერძები (+0.00-+34.65 ნიშნულამდე)	15.70 მეტრი	0 სთ
ა-ვ ღერძები (+0.00-+34.65 ნიშნულამდე)	5.87მ - 21.84მ	1 სთ
6-1 ღერძები (+0.00-+34.65 ნიშნულამდე)	10.60მ - 20.17მ	0 სთ
ვ-ა ღერძები (+0.00-+34.65 ნიშნულამდე)	0.18მ - 17.65მ	2 სთ.

შენიშვნა რეკომენდაციები:

. 1 ტიპის კონსტრუქციებში მასალები არაწვადი მასალების უნდა იყოს.

. შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721-ე ქვეტავის მიხედვით:

. გამოთვლები 722-ე ქვეთავის მიხედვით:

. ასევე გაითვალისწინეთ, რომ თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შენოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტებში და კომპონენტებში, ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს, ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვა-
-ნილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს.

3 . სიმაღლის და ფართობის შეფასება:

. შენობის სიმაღლისა და ფართობის შეზღუდვას არეგულირებს მე-5 თავი.

. წარმოდგენილი პროექტით შენობა არის 11 მიწისზედა და 2 მიწისქვედა სართულები. შენობა მოიცავს 5 ტიპის დაკავებულობას: სწ2, დს, სვ, სქ, და სც2, სართულიანობის და ფართობის მიხედვით, შენობა წარმოადგენს I ტიპის კონსტრუქციას. (ცხრილი 503)

. სწ2 დაკავებულობა:
კონსტრუქციის ტიპის მიხედვით, მიწის ქვედა სართულებზე დასაშვებია 11 სართული, და სართულზე 7340 მ^2 ფართობი (პროექტით შემოთავაზებულია 2 სართული, -6.30 ნიშნულზე 757.0მ^2 , და -3.15 ნიშნულზე 651.0 მ^2)

. დს დაკავებულობა
კონსტრუქციის ტიპების მიხედვით, დს დაკავებულობას სართულიანობა დასაშვებია 5 ხოლო ფართობი 3300 კვადრატი თითო სართულზე (პროექტით შემოთავაზებულია -3.15 ნიშნულზე 24.1 მ^2 და +0.00 ნიშნულზე.2 6.3 მ^2)

. სვ დაკავებულობა:
პირველ სართული წარმოადგენს სვ დაკავებულობას, (სავაჭრო) დასაშვებია 11 სართული და შეუზღუდავი ფართობი თითო სართულზე. (პროექტით შემოთავაზებულია 1 სართული, +0.00 ნიშნულზე 310.5მ^2)

. სქ დაკავებულობა:
მეორე სართული წარმოადგენს სქ დაკავებულობას, (საქმიანი) დასაშვებია 11 სართული და შეუზღუდავი ფართობი თითო სართულზე.
(პროექტით შემოთავაზებულია 1 სართული, +3.15 ნიშნულზე 354.4 მ^2)

. სც2 დაკავებულობა:
შენობა მესამე სართულიდან, მეთერთმეტე სართულამდე არის საცხოვრებელი, სც2 დაკავებულობა. (საცხოვრებელი დასაშვებია 11 სართული და შეუზღუდავი ფართობი თითო სართულზე. (პროექტით შემოთავაზებულია 9 სართული, აქედან პირველ +6.30 ნიშნულიდან +28.35 ნიშნულამდე 387.2მ^2 +31.50 ნიშნულზე 110.4მ^2)

. წარმოდგენილი პროექტი, სიმაღლის ფართობის შეზღუდვების მხრივ, აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნებს (ცხრილი503) მიხედვით.

4 . ცეცხლისგან და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება

. ნაშვერები, რომლებიც გარე კედლების მიღმა გრძელდება არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითებულ მანძილზე მეტად.

. გარე კედლების მიმართ დაცულია 1019.2 პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ გასასვლელის გარე აივნები შენობის შიგა სივრცისგან გამიჯნულია კედლებით და ღიობის დამცავებით, დერეფნებისთვის განსაზღვრული მოთხოვნების სესაბამისად.

. გარე კედლების მიმართ დაცულია 1026.6 პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ გარე გასასვლელის გზა კიბე შენობის შიგა სივრცისგან გამიჯნულია 1022.2 ქვეთავის შესაბამისად, 2 სთ ცეცხლმედეგი ზღუდეებით.

. გარე აივანი წარმოადგენს არაწვად ნაშვერს, რაც შეესაბამება 705.2.1 პუნქტის მოთხოვნებს.

. იმის გათვალისწინებით რომ შენობა მთლიანად ავტოსაშხეფი სისტემებით არის აღჭურვილი, ღიობების შეული გამიჯვნა არ არის საჭირო, 705.8.5 პუნქტის მე-2 გამონაკლისისა.

. გარე კედლების ღიობების მაქსიმალური ფართობის, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს შემდეგი სახით.

ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრი)	დაკავებულობის ყველა ჯგუფისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნა (საათებში)
1-6 ღერძები	15.70 მეტრი	50%
ა-ვ ღერძები	5.87მ - 21.84მ	0%
6-1 ღერძები	10.60მ - 20.17მ	50%
ვ-ა ღერძები	0.18მ - 17.65მ	0%

, საპროექტო შენობას გააჩნია მთელს პერიმეტრზე გააჩნია პარაპეტი რომლის სიმაღლეც შეადგენს 0.60 სანტიმეტრს

. შახტებისგან შენობების ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს რაც შეესაბამება 713.2 პუნქტს.

. ვინაიდან შახტები აერთიანებს 4-ზე მეტ სართულს, მათი ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეეწსაბამება 713.4 პუნქტს.

. ლიფტებს დასაშვებია არ ემსახურებოდეს ფოიე, რადგან მთელი შენობა ავტოსაშხეფებით სისტემებით არის აღჭურვილი, 713.14.1 პუნქტი მე-4 გამონაკლისი.

. შიგა გასასვლელი გზა კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, 1022.2 და 707.3.2 პუნქტები.

. საძინებელი ერთეულების გამმიჯნავი კედლების და დერეფნების კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რაც შეესაბამება 708.1 პუნქტის მოთხოვნებს.

. ცეცხლმედეგი ტიხრების ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, 708.3 პუქტი

. სქ, სვ და სც ჯგუფები ერთმანეთისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

შენიშვნა რეკომენდაციები:

. შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი *ASTM E 119*-ში ან *UL263*-ში მოცემული ტესტის პროცედურების ან ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მეთოდით ან პროცედურით უნდა განისაზღვროს. 1 წყაროებში დოკუმენტირებული ცეცხლმედეგობის დაგეგმარება. 2 შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები. 3. გამოთვლები 722 ქვეთავის მიხედვით. 4. საინჟინრო ანალიზი, რომელიც ეფუძნება ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების დაგეგმარების ურთიერთშედარებას, როგორც განსაზღვრულია *ASTM E 119*-ში ან *UL263*-ში. გაწერილი შემოწმების პროცედურების მიხედვით.

. სტრუქტურული ნაწილების ცეცხლმედეგობის საერთო ხარისხისადმი მოთხოვნები უნდა აკმაყოფილებდეს 704 ქვეთავის მოთხოვნებს.

. გარე კედლების მასალები შენობის კონსტრუქციის ტიპს უნდა შეესაბამებოდეს.

- გარე კედლები უნდა ვრცელდებოდეს პარაპეტამდე და სტრუქტურულად საკმარისად მდგრადი უნდა იყოს რომ ცეცხლმედეგობის ხარისხით განსაზღვრული დროის განმავლობაში ადგილზე დარჩეს.

- ცეცხლმედეგი ზღუდეები შენობის კონსტრუქციის ტიპის შესაბამისი მასალით უნდა აიგოს.

- შახტის შემომზღუდავის ღიობები ცეცხლმედეგი ზღუდეების ღიობების მსგავსად უნდა იყოს დაცული და მათი ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა გაუტოლდეს 1.5 საათს, ასეთი კარი კვამლაღმომჩენის გააქტიურებისთანავე უნდა იხურებოდეს.

- შახტის შემომზღუდავში დაუშვებელია სხვა გაყვანილობები გარდა შახტისთვის აუცილებლისა.

- შახტის მომსახურე ღიობების სიგანე კედლის სიგრძის 25%-ს არ უნდა აჭარბებდეს, ხოლო თითოეული ინდივიდუალური ღიობის მაქსიმალური ფართობი 15 კვ-მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

- ცეცხლმედეგი ზღუდეების გაყვანილობები 714-ე ქვეთავს უნდა შეესაბამებოდეს.

- ცეცხლმედეგ ზღუდეებში გამავალი არხები და საჰაერო ღიობები 717-ე ქვეთავს უნდა შეესაბამებოდეს.

- იატაკის და სახურავის ანაწყობები შენობის კონსტრუქციის ტიპის შესაბამის უნდა აიგოს და 711-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

- ცეცხლმედეგობის ხარისხიანი გამჭვირვალე მასალის ანაწყობებზე დატანილი უნდა იყოს ნიშანი 716.3, 716.5, და 716.6 ცხრილის შესაბამისად.

- ცეცხლმედეგი კარებების ანაწყობები და დარაბები *NFPA 80*-ის შესაბამისად უნდა მოეწყოს, ა ცეცხლმედეგი კარის ანაწყობები კვამლისა და წევის საკონტროლო კარის ანაწყობებისადმი არსებულ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს,

- შიგა გასასვლელ გზა კიბეებში დამონტაჟებული კარში 0.065 კვ-მ-ზე მეტ ფართობზე დაუშვებელია ცეცხლისგად დაცვის ხარისხის მქონე გამჭვირვალე მასალის გამოყენება.

- ცეცხლმედეგი კარის ანაწყობს უნდა ჰქონდეს ეტიკეტი *NEPA 80*-ს უნდა შეესაბამებოდეს და კარს ან ცარჩოს უნდა ეკრას.

- ცეცხლმედეგი კარი თავისისთ ან ავტომატურად უნდა იკეტებოდეს.

5 . ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები

. ავტოსაშხეფი სისტემები:

შენობა მთლიანად აღჭურვლია ავტოსაშხეფი სისტემებით. 903. ქვეთავის მიხედვით.

შენიშვნა რეკომენდაციები:

- საშხეფი ყველგან *NFPA 13*-ის მიხედვით უნდა დაგეგმარდეს და დამონტაჟდეს, თანახმად 903.3.1.1 პუნქტისა, თუმცა 102.3 პუნქტის თანახმად დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამის სხვა სტანდარტების გამოყენება.

- ავტოსაშხეფი სისტემები ავტომატურად უნდა აქტიურდებოდეს.

- ავტოსაშხეფ სისტემებთან მიერთების ადგილებში გამოყენებული სახანძრო სახელოს თავაკები ფიტინგები სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ განსაზღვრულს უნდა შეესაბამებოდეს

- ყველა სარქველი რომელიც ავტოსაშხეფი სისტემების წყალმომარაგების ტუმბოების ავზების წყლის დონეებისა და ტემპერატურის., ჰაერის მაქსიმალური წნევისა და წყლის ჭავლის გამშვებების მუშაობას აკონტროლებს ყველა საშხეფ სისტემაში, სახანძრო განგაშის მაკონტროლებელი ერთეულით ელექტრონულად უნდა გაკონტროლდეს.

- განგაშის საზედამხედველო და გაუმართაობის შეტყობინებები უნდა იყოს მკვეთრად განსხავებული და ხმოვანი სიგნალი ავტომატურად უნდა გადაეცემოდეს საზედამხედველო სადგურს ან, თუ მშენებლობის ნებართვის გამცემი ზედამხედველი ორგანოს მიერ ნებადართულია, სიგნალი უნდა გადაეცემოდეს პერსონალით მუდმივად დაკავებუ ადგილას.

. სახანძრო მილდგარების სისტემა:

. შენობაში მოწყობილია სახანძრო მილდგარები, (905.3.1) ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით. ამ პუნქტის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელს შენობაში, თუ ყველაზე მაღარლი სართულის იატაკის დონე 9.0 მეტრით მაღლაა სახანძრო ავტომობილის მისადგომის ყველ;აზე დაბალი დონიდან მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია.

. მილდგარების სახელოების მისაერთებლები განთავსებულია 905.4 და 905.5 პუნქტების შესაბამისად, კერძოდ დერეფნებში, და ისეთი განლაგებით რომ 30 მეტრის სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9.0 მეტრის საზღვრებში მოექცეს შენობის ყველა ნაწილი.

შენიშვნა რეკომენდაციები:

. სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონს *NFPA 14*-ის შესაბამისად თუმცა 102.3 პუნქტის თანახმად დასაშვებია თითოეული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.

. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები, რომლებიც გამოყენებულია სახანძრო მილდგარების სისტემების მისაერთებლებთან. უნდა მიესადაგებოდეს სახანძრო სამაშველო დანაყოფის სახანძრო სახელოების მისაერთებელ თავაკებს.

. შენობაში სადაც ერთზე მეტი მილდგარია ისინი მიერთებული უნდა იყვნენ ერთმანეთთან *NFPA 14*-ის შესაბამისად

. კარადები სადაც განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახანძრო სამაშველო დანაყოფისთვის და არ უნდა დაიფაროს თვალისგან.

. თუ კარადის კარი არ იქნება გამჭვირვალე რომელიც ადვილად ტყდება, ასეთ შემთხვევაში კარი არ უნდა იკეტებოდეს.

. ხელის ცეცხმაქრები:

. სწ2, სვ სქ, და სც2 ჯგუფის დაკავებულობებში განთავსებული ხელის ცეცხლმაქრები 906.1 პუნქტის თანახმად.

. ცეცხლსაქრობები განთავსებულია შენობის ყოველ 23 მეტრში,

შენიშვნა რეკომენდაციები:

. პორტატული ცეცხლსაქრობი უნდა შეირჩეს და მოეწყოს *NFPA 10*-ის მოთხოვნების შესაბამისად.

. პორტატული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში.

. ხელში დასაჭერი პორტატული ცეცხლსაქრობები რომლებიც არ არის მოთავსებული კარადაში უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე და განთავსდეს ბრჯენებზე.

. პორტატული ცეცხლსაქრობების კარადები არ უნდა იკეტებოდეს.

. პორტატული ცეცხლსაქრობები რომელთა წონაც არ აღემატება 18 კგ-ს ისე უნდა განთავსდეს რომ არ სცდებოდეს იატაკს 1.5 მეტრზე მეტად.

. სახანძრო განგაშის ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

. 907.2.8.1 პუნქტის მე-2 გამონაკლისისა სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების დაყენება მთელს შენობაში სავალდებულო არ არის, თუ შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემებით, შეტყობინებების მოწყობილობები აქტიურდება საშხეფის წყლის ჭავლით და შესაბამის ადგილას დაყენებულია ხელით სამართავი სახანძრო განგაშის თითო მოწყობილობა კიბის უჯრედის ტამბურში,

. კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას დამონტაჟებულია ყველა შიდა დერეფანში, და კორიდორებში.

. კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთ ან მრავალკოლოფიანი მოწყობილობები განთავსებულია საძინებელ ფართობებზე, რაც შეესაბამება 907.2.11.1 პუნქტის მოთხოვნებს.

. სახანძრო განგაშისა და კვამლის აღმომჩენი სისტემები განთავსებულია ლიფტებთან და გზა კიბეებზე, რაც შეესაბამება, 907.5.2.2 პუნქტის მოთხოვნებს.

შენიშვნა რეკომენდაციები:

. სახანძრო განგაშის სისტემა *NFPA 72* -ის მიხედვით უნდა დამონტაჟდეს, თანახმად 907.2 პუნქტისა, ელექტროგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს *NFPA 70-i*სა და *NFPA 72* - ის მოთხოვნებს,

. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები უნდა იყოს წითელი ფერისა, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები ყოველთვის ხელმისაწვდომი და ადვილად დასანახი უნდა იყოს.

. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი 907.4.2 პუნქტის შესაბამისად უნდა მოეწყოს.

. ახალ მშენებლობებში კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის აუცილებელი მოწყობილობები პირველად ელექტროენერგის უნდა იღებდეს შენობის ელექტროგაყვანილობიდან, რომელიც კომერციული წყაროდან მარაგდება და აღჭურვილი უნდა იყოს სათადარიგო ბატარეებით.

. საშხეფი წყლის ჭავლის მართვის მექანიზმით, სახანძრო ხელით სამართავი კოლოფებით და ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემით უნდა გააქტიურდეს სახანძრო განგაშის სისტემა, სახანძრო განგაშის სისტემის გააქტიურებისას.

. სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

. საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი.

. ჰიდრანტთან დაცულია 0.8მ X 0.9მ. თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 პუნქტს.

შენიშვნა რეკომენდაციები:

სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს *NFPA* -ის სტანდარტების შესაბამისად.

სახანძრო მისაერთებლების მდებარეობა შეტანხმებული უნდა იყოს სახანძრო სამაშველო დანაყოფთან:

. ჰიდრანტის, საავტომობილო გზების, შენობებისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განთავსდეს იმგვარად რომ სისტემასთან მიერთებულმა სახანძრო აპარატურამ და სახელოებმა სხვა სახანძრო აპარატურას არ ჩაუხერგოს შენობასთან მისასვლელი,

. სახანძრო მისაერთებლებტან მისასვლელი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს.

. სახანძრო ტუმბოები:

. სახანძრო ტუმბო განთავსებულია ოთახში, რომელიც შენობის სხვა ფართობებისგან გამიჯნული 2 სთ ცეცხლმედეგი ზღუდითა და თარაზული ანაწყობებით, რაც შეესაბამება 913.2.1 პუნქტის მოთხოვნებს.

6 . გასასვლელი საშუალებების შეფასება:

. საპროექტო შენობას, თავისი სართულიანობის, დაკავებულობის დატვირთვი და გასასვლელამდე სავალი მანძილის მიხედვით, ესაჭიროება 2 გასასვლელი გზა კიბის მოწყობა, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილი პროექტით. (1021.2.2)

. შენობას, მიწის დონის ქვედა, მიწის დონის და მიწის დონის ზედა სართულებს, ემსახურება ორი გზა კიბე, და ერთი ლიფტი.

. კიბის უჯრედში შემავალი/გამავალი კარის ღიობები, ერთმანეთისგან გამიჯნულია სართულის მაქსიმალური დიაგონალის მესამედზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2(2) ცხრილს.

. შიდა გასასვლელი გზა-კიბეები, შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს რაც აკმაყოფილებს 1022.2 პუნქტის მოთხოვნებს.

. გზა კიბეების, კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 და 1008.12 პუნქტების მოთხოვნებს, კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 -ე პუნქტის მოთხოვნებს, ხოლო სახელურები 1012-ე პუნქტის მოთხოვნებს.

. გზა კიბეების მინიმალური სიგანე განისაზღვრება 1005.3.1 ქვეთავის მიხედვით მაგრამ არ უნდა იყოს 1.1 მეტრზე ნაკლები 1009.4 ქვეთავის მიხედვით, რასაც წარმოდგენილი პროექტი ყველა დაკავებულობაში აკმაყოფილებს.

. გზა-კიბეები გასავლელის თავისუფალი სიმაღლე შეადგენს მინიმუმ 2.05 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1009.5 პუნქტის მოთხონებს.

. გზა კიბეების ბაქნები არ არის გზა კიბეების სიგანეზე ნაკლები, ასევე ბაქნისკენ კარების გაღებისას ბაქნის სიგანე არ მცირდება, აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად, ყოველივე ზემოთაღნიშნული შესაბამისობაშია 1009.8 პუნქტის მოთხოვნებტან.

. დერეფნები უწყვეტია და მათ არ კვეთავს შუალედური ოთახები, 1018.6 პუნქტი.

. დერეფნების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსთვლელად, თითოეული სართულის დაკავებულობის ჯამური მაჩვენებელი გამრავლებულია გამტარუნარიანობის 5.1 ფაქტორზე. 1005 ქვეთავის მიხედვით შემოთავაზებული დერეფნის მინიმალური სიგანე შეადგენს 2.00 მეტრს. რაც აკმაყოფილებს მოთხოვნებს დერეფნების გამტარუნარიანობის მიმართ.

. გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასავლელის და შენობიდან გამოსასვლელები. წარმოდგენილი პროექტით ყველა პუნქტში აკმაყოფილებს, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს.

7 . მისაწვდომების შეფასება:

შშმ პირებისთვის მისაწვდომობა რეგულირდება 1101 თავის მიხედვით,

. წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას შშმ პირებისთვის და მათი უპრობლემოდ გადაადგილებისთვის ყველა პირობა გათვალისწინებულია.

. მიწის ზედაპირის გრუნტი და იატაკის საპროექტო შენობის 0.00 ნიშნულზე მოხვედრა შესაძლებელია მცირედი პანდუსის მეშვეობით, რომლის სიგანეც შეადგენს 2.00 მეტს, და დახრილობა არ აღემატება 2%-ს. 1010.5 ქვეთავი.

. პროექტში გეგმებზე ასახულია სველა გეზი (შშმ) პირთათვის, რაც უზრუნველყოფს, შშმ პირების მისაწვდომობას შენობის ყველა პუნქტში. მიწის ქვედა და ზედა დონეებზე, შშმ პირების გადაადგილება ხდება ლიფტით.

. პირველ სართულზე შენობას ემსახურება 9 შესასვლელ და გამოსავლელი საშუალება და ყველა არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის რაც აკმაყოფილებს 1007.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

. შენობაში განთავსებულია, ავტოსადგომების სივრცეში, 2 ავტოსადგომი თითო სართულზე (შშმ) პირთათვის, რაც აკმაყოფილებს 1106 ქვეთავის მოთხოვნებს.

. შენობის პირველ და მეორე სართულების დაკავებულობა წარმოადგენს საქმიან და სავაჭრო სივრცეებს, შშმ პირებისთვის გათვალისწინებულია ტუალეტი რომელიც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავს.

შენიშვნა/რეკომენდაციები

. მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო, მისაწვდომ ელემენტთან უნდა განთავსდეს 1110 ქვეთავის შესაბამისად.

. მისაწვდომის მისათითებელი სპეციალური ნიშნები, და მითითებები უნდა მოეწყოს 1007.10 პუნქტის შესაბამისად.

8 ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასება:

. ლიფტის კაბინაში შესაძლებელია 2.15მ X 0.6 მ საკაცის შეტანა რაც შეესაბამება 1702.4 პუნქტს.

. ლიფტის შახტის შემომზრუდავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რაც შეესაბამება 1702.1 პუნქტის მოთხოვნებს.

. ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი მე-7 თავის მოთხოვნებს შეესაბამისად არის დაცული, რაც შეესაბამება 1702.1.1 პუნქტს.

. ლიფტის კაბინა აკმაყოფილებს 1702.4 პუნქტს.

. ლიფტის შახტა უზრუნველყოფილია საჰაეროთი, რომლის დახმარებითაც კვამლი და ცხელი აირები გაიწოვება გარეთ, და შეესაბამება 1704.1 პუნქტს.

. საჰაეროების ფართობი შეადგენს 0.6 მ^2-ს რაც აკმაყოფილებს 1704.3 ქვეთავს. პუნქტს

. ლიფტის შახტები არის დაწნევადი. 1704.1 ქვეთავი.

შენიშვნა რეკომენდაციები:

. ლიფტის შახტის შემომზღუდავში წყალსადრნი და მექანიკური სისტემები არ უნდა განთავსდეს.

. ლიფტი მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რო ჩაითვალოს, უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ***ASME A17***-ის 2.27 ქვეთავში და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტრომომარაგებით.

ელექტრომომარაგების გათიშვიდან 60 წამის განმავლობაში ლიფტი ავტომატურად უნდა გადაერთოს სათადარიგო ელექტრომომარაგებაზე,

ლიფტი ისეთი მექანიზმით უნდა აღიჭურვოს, რომ მათი მუშაობა სტანდარტული გასაღებებით შეძლებოდეს, რომელტაც სახანძრო სამაშველო სამსახური იყენებს.

9 . წყალსადენი სისტემების შეფასება:

. დაკავებულობის არც თუ ისე დიდი დატვირთვიდან გამომდინარე, წაროდგენილი წყალსადენი სისტემების რაოდენობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეესაბამისობაშია (ცხრილი 1602.1).

. სვ ჯგუსითვის, პირველ სართულზე გათვალისწინებულია სართულზე 2 უნიტაზი, 2 ხელსაბანი და ერთი სამომხმარებლო ნიჟარა, აქედან (შშმ პირებითვის 1 უნიტაზი და 1 ხელსაბანი)

. სქ ჯგუფისთვის მეორე სართულზე გათვალისწინებულია სართულზე 2 უნიტაზი, 2 ხელსაბანი და ერთი სამომხმარებლო ნიჟარა, აქედან (შშმ პირებითვის 1 უნიტაზი და 1 ხელსაბანი)

. სც-2 ჯგუფისთვის ყველა საცხოვრებელ ერთეულს გააჩნია უნიტაზი, საშხაპე, სამომხმარებლო და სამზარეულოს ნიჟარა.

. წარმოდგენილი პროექტით არცერთ წყალსადენ სისტემასთან მისასვლელი ბილიკი არ აღემატება 150 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1016.3.2 ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

10. შიგა გარემოს შეფასება:

. ყველა გამოყენებული სივრცე ნიავდება ბუნებრივად და მექანიკური განიავებით, რაც შეესაბამება 1203-ე ქვეტავს:

ბუნებრივი განიავება:

-სავაჭრო ფართები 0.00 ნიშნულზე:
-საოფისე ფართები +3.15 ნიშნულზე:
-საცხოვრებელი +6.3 ნიშნულიდან +31.5 ნიშნულამდე.

. ბუნებრივი განიავების მიზნით მოწყობილი ღიობების მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ არს განიავებელი იატაკის4%-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1203.4.1 პუნქტის მოთხოვნებს.

მექანიკური განიავება.

-კიბის უჯრედები, -6.3 ნიშნულიდან +31.5 ნიშნულამდე
-დრეფნები +0.00 ნიშნულიდან +31.5 ნიშნულამდე
-გენერატორის ოთახი+0.00 ნიშნულზე
-სახანძრო ტუმბოსი და წყლის ავზის ოთახი, -3.15 ნიშნულზე,
-ლიფტი,

11 . გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აითვლება სამეზობლო მიჯნიდან, ხოლო საზოგადოებრივი გზის შემთხვევაში მისი ღერძიდან.

. საპროექტო შენობის გარე კედლებს, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით, ცხრილი 602, მოეთხოვება 2 სთ ცეცხლმედეგობა, წარმოდგენილი პროექტს, კონსტრუქციის ტიპის მიხედვით გააჩნია 2 სთ ცეცხლმედეგობა და აკმაყოფილებენ ცხრილი 705.8 მოთხოვნებს

. იქ სადაც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 9 მეტრს კედლებს არ მოეთხოვებათ ხანძარმედეგობა.

. კედლების შემავსებელ მასალად გამოყენებულია ბლოკის წყობა ხოლო მოპირკეთება ხდება, ტრავერტინის ბუნებრივი ქვით, ქვიშაცემენტის ხსნარით, კერამიკული ფილით,

. შენობას ღიობები გააჩნია 1-6 და 6-1 ღერძებში, სადაც მოეთხოვებ ღიობების 70% შეზღუდვა, წარმოდგენილი პროექტით ფასადზე ღიობები შეადგენს ფასადის 50%-ს, რაც დასაშვებია.

. წარმოდგენილ დეტალებზე ასახულია გარე ფანჯრის და კედლის ანაწყობების გადაკვეთასთან გათვალისწინებული ჰიდროიზოლაცია, რომელიც მოწყობილია კედლის სტრუქტურაში ტენის შეღწევის საწინააღმდეგოდ, აღნიშნული აკმაყოფილებს 1405.4 პუნქტის მოთხოვნას, თუმცა მსგავსი გადაწყვეტა გამოყენებულ უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილ ყველა ადგილას.

. გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლების ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთას, საკვამურებთან, პორტიკებტან, ტერასებთან, აივნებთან და სხვა მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს, ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კედლების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უქვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე

12 . სახურავის ანაწყობების შეფასება

. სახურავთან დაკავშირებულ ყველა პუნქტს არეგულირებს 15 თავი,

. წარმოდგენილი პროექტით შენობას აქვს მრავალშრიანი რკინაბეტონის გადახურვა, რომელსაც გააჩნია მცირედი ქანობი, ნალექის დაქანებისთვის და ნალექის შემკრები მილები.

. წარმოდგენილ პროექტში, შერჩეულ კონსტრუქციის ტიპს, რაც არის (I-B) ტიპის კონსტრუქცია, სახურავის ანაწყობს და არაძირითად მასალებს უნდა გააჩნდეს 1 სთ ცეცხლმედეგობა, ხოლო წარმოდგენილ პროექტს გააჩნია ხანძარმედეგობის 2სთ ხარისხი.

. წარმოდგენილ პროექტში სახურავის ანაწყობი შეესაბამება 1505.3 ქვეთავს, კონსტრუქციის ტიპის მიხედვით რაც არის **IB** ტიპის კონსტრუქცია, აღნიშნულ შენობას შეესაბამება **B** კლასის სახურავის ანაწყობი, რომელიც უძლებს ზომიერ ცეცხლის ზემოქმედებას.

შენიშვნა რეკომენდაციები

სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ტიპს მიხედვით უნდა განეკუთვნოს ***B*** კლასს, 1505.1 ცხრილის თანახმად, (***B*** კლასის სახურავის ანაწყობად ითვლება ის ნაწილი, რომელიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერ ცეცხლის ზემოქმედებას) პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთი ხარისხი უნდა ჰქონდეს როგორიც აუცილებელი საყრდენი კედლებისთვის, პარაპეტის კედლები უნდა დაიფაროს არაწვადი წყალგაუმტარი მასალებით, რომელთა სისქე პარაპეტის კედლების სისქეზე ნაკლები არ იქნება, კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებტან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში უნდა მოთავსდეს ჰიდროიზოლაცია, ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი, შენობის გარეთ მოთავსებული წყალანირი ღარები არაწვადი მასალისგან უნდა აიგოს.

13 . ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობები

შენობას გააჩნია 2 მიწისქვეშა ავტოსადგომი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემებით, ავტოსადგომებთან დაკავშირება ხდება პანდუსით, რომლის დახრილობაც არ აღემატება 16%-ს 406.9.4.4 ქვეთავი, ხოლო პანდუსის დასაწისი და დასასრული 3.5 მეტრი მანძილზე არ აღემატება 8%-10% დახრილობას, ავტოსადგომებისთვის განკუთვნილი ადგილები აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავს და 406.9.3.2.1 406.9.4.3.2 ცხრილების მოთხოვნებს. ავტოსადგომებთან მისადგომი, 406.9.4.7 გამონაკლისის მიხედვით 50 ავტოსადგომზე ნაკლებ ადგილიან ავტოსადგომს შესაძლებელია ემსახურებოდეს, ცალმხრივ შესასვლე/გასასვლელიანი საავტომობილო გზა ან პანდუსი.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქი თბილისი, ბოგდან ხმელინსკის №8 მიმდებარედ, ს.კ 01.17.11.026.112 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი, შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41 "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან".

ასევე ვადასტურებ რომ პროექტი შედგენილია მაღალ ტექნიკური დონეზე, და მოიცავს მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა დასანებართვო პირობების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტის საჭირო შესაბამის ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება

ლევან ქეთელაური

21.01.2019 წ